საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA

1880-გ-2-201407011845

N 1880-გ 01/07/2014

საქართველოს რეფორმების ასოციაციის წარმომადგენელს
ბატონ ლაშა სენაშვილს

ბატონო ლაშა,

გაცნობებთ, რომ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განიხილა მიმდინარე წლის 20 ივნისს თქვენი სახელით ფონდში შემოსული განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ:

საავტომობილო ხიდის მშენებლობა დაგეგმილი იყო 2013-2014 წლებში, აზიის განვითარების ბანკის ურბანული განვითარების პროგრამის (SUTIP) ფარგლებში ამ მიზნისათვის გამოყოფილი თანხებით და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით;

პროექტის მომზადება-განხორციელებაზე პასუხისმგებელი იყო საქართველოს რეგინული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;

სამშენებლო სამუშაოების განხორციელება დაგეგმილი იყო 2013 წლის იანვრიდან, ხოლო დასრულება 18 თვის შემდეგ, 2014 წლის ივლისისათვის;

სამშენებლო სამუშაოებზე ტენდერი არ გამოცხადებულა და შესაბამისად არანაირი სამშენებლო სამუშაოები არ შესრულებულა, პროექტის განხორციელება შეჩერდა ჯერ კიდევ საპროექტო სამუშაობის ეტაპზე;

პროექტის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 15.02.2013-ში

პროექტით გათვალისწინებული იყო 200 მეტრიანი, ორმალიანი (80+120 მ), ერთპილონიანი (51 მ.), ბაგირებიანი, დაკიდული, მაღალტექნოლოგიური ხიდის მშენებლობა, რომლის საორიენტაციო სამშენებლო ღირებულება შეადგენს 80 მლნ ლარს. მსგავსი ნაგებობა საქართველოში პირველი იქნებოდა, შესაბამისად არ არსებობს მისი ექსპლუატაციის გამოცდილება. ასეთი ნაგებობის მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციისათვის აუცილებელია სპეციალურად გაწვრთნილი პერსონალი, სპეცაღჭურვილობა. ასევე ხიდის ყოველწლიური საექსპლუატაციო ხარჯი საორიენტაციოდ 4 მილიონი ლარი იყო, რაც ობიექტის მოვლა- შენახვისთვის ძალიან მაღალი ხარჯია. შესაბამისად პროექტის შეჩერების მიზეზებია: არსებული

დ. აღმაშენებლის გამზ. №150
0112, თბილისი, საქართველო
ტელ. (+99532) 2437001/02/03
ფაქსი: (+99532) 2437077
ელ. ფოსტა: mdf@mdf.org.ge
ვებ გვერდი: www.mdf.org.ge

№150 D. Aghmashenebeli Ave.
0112, Tbilisi, Georgia
Tel: (+99532) 2437001/02/03
Fax: (+99532) 2437077
E—mail: mdf@mdf.org.ge
Web: www.mdf.org.ge

პროექტის მაღალი ღირებულება; ყოველწლიური მაღალი საექსპლუატაციო ხარჯი, რომელიც 4 მილიონი ლარი იყო; შესაძლო ეკოლოგიური, ურბანული და სოციალური საფრთხეები. ასევე სამტრედიის ქუჩის მოსახლეობის უაღრესად ნეგატიური საპროტესტო განწყობა; კერძოდ, საკუთრებასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები; მშენებლობის გადაუდებელი საჭიროების არარსებობა; სამტრედიის ქუჩის მოსახლეობის ხელმოწერები, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ პროექტის განხორციელებას.

ხიდის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება (F.S.) განახორციელა ესპანურმა კომპანიამ ”JV PEDELTA, S.L. and ADVANCED LOGISTICS GROUP, S.A.”;

ხიდის მშენებლობის საპროექტო ღირებულება შეადგენდა 80 მლნ ლარს, აქედან საორიენტაციოდ აზიის განვითარების ბანკის დაფინანსება შეადგენდა 68 მლნ ლარს, ხოლო საქართველოს მთავრობის თანადაფინანსება 12 მლნ ლარს;

სამშენებლო სამუშაობი არ დაწყებულა და ამ მიზნით თანხები არ დახარჯულა;

ამ ეტაპზე, ფონდის მიერ არ იგეგმება სამშენებლო სამუშაოების განხორციელება არც არსებული და არც ალტერნატიული პროექტებით.

ლანა ბერიძე



საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი

საზ-ბასთან ურთიერთობის სამსახური